ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1802794

ნომერი: AR1294576

თარიღი : 17.03.2015

გაცემის თარიღი : 03.04.2015

გაცნობის თარიღი : 28.04.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 26 მაისის სახელობის მოედანი, N 1 , (ნაკვეთი 33/109) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ია შალიკაშვილი პ/ნ 35001004325
- თბილისი, კვერნაძის 35

ორგანიზაცია:
- შპს სპორტის სასახლე კოდი: 2011360944

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 17 მარტს #AR1294576 განცხადებით მომართა მოქალაქე ია შალიკაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, 26 მაისის სახელობის მოედანზე #1–ში 2013 წლის 22 მაისის #693995 გადაწყვეტილებით მომზადებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პრიობებში ცვლილების განხორციელება, კერძოდ: საპროექტო ობიექტის დასახელებაში – სწრაფი კვების ობიექტის მაგივრად გასართობი ცენტრის დაფიქსირება.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-104 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ასევე, ამავე დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას განეკუთვნება ქ. თბილისის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის პოლიტიკის რეალიზაციისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება, მათში ცვლილებების შეტანა და დადგენილი წესით მათი დამტკიცება. გარდა ამისა, ამავე დებულების შესაბამისად, სამსახურის კომპეტენციას წარმოადგენს ქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობის რეგულირება. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე. <u>მხარის მიერ წარმოდგენილი საპროექტო ობიექტის ესკიზური ნახაზის შეფასების შედეგად სამსახური მიიჩნევს, რომ ადგილმდებარეობიდან გამომდინარე იგი არ მოდის შესაბამისობაში არსებულ არქიტექტურულ გარემოსთან.</u>

სამსახურმა დღევანდელი მდგომარეობით გადახედა აღნიშნულ ტერიტორიას ქალაქგეგმარებითი კუთხით და დაადგინა, რომ ტერიტორია ისედაც გადატვირთულია მსგავსი ობიექტებით და შეზღუდულია ფეხმავალთა გადაადგილება და მათთან სატრანსპორტო კავშირი, გამომდინარე აქედან ახალი ობიექტის გაჩენა მითუმეტეს სპორტის სასახლის მთავარი ფასადის წინ კიდევ უფრო შეიზღუდავს ზემოთხსენებულ გარემოებებს, რადგანაც სპორტის სასახლე თავისი ფუნქციით განკუთვნილია სხვადასხვა დიდი მაშტაბის ღონისძიებების ჩასატარებლად.

ამასთან ობიექტის განთავსებით მოხდება სპორტის სასახლის მთავარი ფასადის ნაწილის დაფარვა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ქალაქის ერთ–ერთ საინტერესო და ღირებულ ობიექტს თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით.

,,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის#20-104 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) თანახმად

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე ქეთევან ფანცულაიას ქ. თბილისში, 26 მაისის სახელობის მოედანზე #1–ში 2013 წლის 22 მაისის #693995 გადაწყვეტილებით მომზადებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პრიობებში ცვლილების განხორციელებაზე, კერძოდ: საპროექტო ობიექტის დასახელებაში – სწრაფი კვების ობიექტის მაგივრად გასართობი ცენტრის დაფიქსირების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.